

საქართველოს კანონი  
„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №33, 31 ივლისი, 1997, გვ.20) შეტანილ იქნას შემდეგი შინაარსის ცვლილებები და დამატებები:

ა) მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „<sup>31</sup>“ ქვეპუნქტი:

„<sup>21</sup>) სასმელი წყლის ხარჯვის ნორმა – ერთ სულ მოსახლეზე სასმელი წყლის ხარჯვის დადგენილი დღიური ნორმა.“;

ბ) მე-4 მუხლის მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი:

„<sup>1</sup>) სასმელი წყლის ხარჯვის ნორმების დადგენა.“;

გ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში იღებს ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – დადგენილებას. კომისიის დადგენილებით მტკიცდება კომისიის დებულება, საქმისწარმოების წესები და პროცედურები, სადავო საკითხების განხილვის პროცედურული წესები, რეგულირების საფასურის ოდენობა და გაანგარიშების წესი, ლიცენზირების წესები, მიწოდებისა და მოხმარების წესები, ტარიფების მეთოდოლოგია, ტარიფები (მათ შორის, ზღვრული), ნორმატიული დანაკარგების ოდენობა და გაანგარიშების წესი, სასმელი წყლის ხარჯვის ნორმების ოდენობა და გაანგარიშების წესი. კომისიის დადგენილება შეიძლება მიღებულ იქნეს საკანონმდებლო აქტით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.“;

დ) 43<sup>2</sup>-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 43<sup>2</sup>. წყალმომარაგების ტარიფის დადგენის პრინციპები

1. კომისიის მიერ წყალმომარაგების ტარიფი დგინდება ამ კანონის 43-ე მუხლით განსაზღვრულ ტარიფის დადგენის პრინციპების შესაბამისად.

2. წყალმომარაგების ტარიფის დადგენისას კომისია უფლებამოსილია ტარიფი სასმელი წყლის მიწოდებაზე და წყალარსებაზე დაადგინოს განცალკევებულად.

3. სატარიფო განაცხადის საფუძველზე, კომისია უფლებამოსილია მიმწოდებლის მფლობელობაში არსებული წყალმომარაგების სისტემებისათვის დაადგინოს წყალმომარაგების ტარიფები თვითმართველი ერთეულების მიხედვით.“;

ე) VII<sup>1</sup> თავის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავი VII<sup>1</sup>. ელექტროენერჯის გადამცემ და გამანაწილებელ ქსელზე მესამე მხარის დაშვება. ქსელზე და წყალმომარაგების სისტემაზე მიერთება“;

